



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA01J341715982714  
ქ.თბილისი

02 / ოქტომბერი / 2014 წ.

ბრძანება № 149-მ

საქართველოს პროკურატურაში საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო რეესტრის თანდართული ფორმა (დანართი N1).
2. საქართველოს პროკურატურის საჯარო რეესტრის წარმოება დაევალოს საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, დამუშავებაზე, შექმნასა და დაცვაზე პასუხისმგებელ ჯგუფს.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს გიორგი გოგაძეს.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პროკურატურაში საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 20 აგვისტოს №100-მ ბრძანება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავარი პროკურორი

გიორგი ბადაშვილი

საჯარო რეესტრი

№	მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის არსი	პირი, რომელმაც მოითხოვან/და რომელსაც გაეგზავნა საჯარო ინფორმაცია	საჯარო ინფორმაციის რეესტრში შეტანის თარიღი	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თარიღი	საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა	საჯარო ინფორმაციის გაცემის თარიღი	საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9